პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

რეკომენდაციები
არასრულწლოვნების
პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

www.pdps.ge

რეკომენდაციები ემსახურება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმათა განმარტებას, საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობას, ის არ წარმოადგენს სამართლებრივ აქტს, არის სარეკომენდაციო ხასიათის და არ წარმოშობს დამატებით უფლებებსა და ვალდებულებებს.

შინაარსი

შესავალი 3

1. თანხმობა, როგორც არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დამუშავების ერთ-ერთი კანონიერი საფუძველი 4

2. თანხმობის ძირითადი კრიტერიუმები 5

2.1. ნებაყოფლობითი და თავისუფალი 5

2.2. კონკრეტული 6

2.3. ინფორმირებული 7

2.4. მკაფიო 7

3. არასრულწლოვანი პირის თანხმობის არსებობის დადასტურება 8

3.1. არასრულწლოვნის ასაკის დადასტურება 8

3.2. მშობლის თანხმობის დადასტურება 11

4. მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა პრაქტიკა არასრულწლოვნების ასაკის დადასტურებისა და თანხმობის კონტექსტში 12

5. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი 13

შესავალი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დამუშავების სპეციალურ სტანდარტს. კანონის მე-7 მუხლით მოწესრიგებულია არასრულწლოვნის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის წესი და პირობები. არასრულწლოვნის შესახებ მონაცემთა დამუშავებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, გაითვალისწინოს და დაიცვას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები.[1] ამასთანავე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს, განსაკუთრებით თუკი მონაცემთა სუბიექტი არასრულწლოვანია, მიაწოდოს ინფორმაცია მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე.[2]

წინამდებარე სარეკომენდაციო დოკუმენტის მიზანია არასრულწლოვანებთან მიმართებით ზემოაღნიშნული საკითხების გაანალიზება და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი თუ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ვალდებულებების მიმოხილვა.

რეკომენდაციები მომზადებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმატიული შინაარსისა და საერთაშორისო სტანდარტების, მათ შორის, „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) სახელმძღვანელო რეკომენდაციების[3] ანალიზის საფუძველზე და ასევე, ეყრდნობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მომზადებულ კვლევას: „არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა — თეორია და პრაქტიკა“[4].

---

[1] მუხლი 7, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (14/06/2023; №3144-XIმს-Xმპ).

[2] იქვე, 24-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[3] European Data Protection Board (EDPB), Guidelines 05/2020 on consent under Regulation 2016/679, Adopted on 4 May 2020. <https://edpb.europa.eu/sites/default/files/files/file1/edpb_guidelines_202005_consent_en.pdf> [27.02.2024]. აღნიშნული დოკუმენტის თარგმანი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებგვერდზე.

[4] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვა - თეორია და პრაქტიკა, 2023.

1. თანხმობა, როგორც არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დამუშავების ერთ-ერთი კანონიერი საფუძველი

პერსონალური მონაცემების კანონიერად დამუშავების მიზნით, სავალდებულოა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესაბამისი საფუძვლის არსებობა. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ძირითადი საფუძვლები განსაზღვრულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით. ბავშვების კონტექსტში, ერთ-ერთ საფუძველს თანხმობა, მისი შინაარსი და გაცემის ფორმა წარმოადგენს.

კანონის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თანხმობა წარმოადგენს: „მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატულ ნებას. ხოლო წერილობითი თანხმობა გულისხმობს იმგვარ თანხმობას, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან რომელიც მან სხვაგვარად გამოხატა წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ“.[5]

კანონის მე-7 მუხლი აწესრიგებს არასრულწლოვნის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის წესსა და პირობებს. კერძოდ, 16 წლის ასაკს მიღწეულ პირს შეუძლია, განაცხადოს თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვნის შემთხვევაში საჭიროა მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, მათ შორის, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანისა და მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“[6] მე-8 მუხლი არასრულწლოვნის თანხმობის პირობებს აწესრიგებს საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების კონტექსტში. აღნიშნული ითვალისწინებს დამატებით ვალდებულებებს, რათა საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებასთან მიმართებით, უზრუნველყოფილი იქნას ბავშვების გაძლიერებული დაცვა. ამგვარი დაცვის მიზეზები კი თავმოყრილია “GDPR”-ის პრეამბულის 38-ე პუნქტში, რომლის თანახმადაც ბავშვებისთვის შესაძლოა ნაკლებად იყოს ცნობილი ის რისკები, შედეგები, დაცვის მექანიზმები და მათი უფლებები, რომლებიც უკავშირდება

[5] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი.

[6] Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), OJ L 119, 4/5/2016 (შემდგომში — GDPR).

პერსონალური მონაცემების დამუშავებას. მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევებში, როდესაც გამოიყენება თანხმობა, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების პირდაპირ ბავშვისათვის შეთავაზებასთან დაკავშირებით, არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დამუშავება კანონიერია, თუ არასრულწლოვანს მიღწეული აქვს 16 წლის ასაკისთვის. თუ არასრულწლოვანს არ მიუღწევია 16 წლისთვის, ამგვარი დამუშავება კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამუშავებაზე თანხმობას გასცემს ბავშვის მშობლის უფლების მქონე პირი.

2. თანხმობის ძირითადი კრიტერიუმები

2.1. ნებაყოფლობითი და თავისუფალი

„ნებაყოფლობითი“ და „თავისუფალი“ გულისხმობს ფიზიკური პირისთვის თავისუფალი არჩევანის მიცემას და მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე კონტროლის განხორციელებას. თუ პირს არ აქვს რეალური არჩევანის შესაძლებლობა, თანხმობა არ მიიჩნევა ნებაყოფლობითად. აღნიშნული გულისხმობს, რომ ადამიანებს უნდა შეეძლოთ, ერთი მხრივ, თანხმობაზე უარის თქმა მათთვის ზიანის მიყენების გარეშე, ხოლო მეორე მხრივ, თანხმობის მარტივად გამოხატვა ნებისმიერ დროს.

ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, იმისათვის, რომ შეფასდეს თანხმობის ნებაყოფლობითობა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს *inter alia* იმას, თუ რამდენად აუცილებელი იყო მონაცემების დამუშავება ამ ხელშეკრულების შესრულებისა ან მომსახურების მიწოდებისათვის.[7]

თანხმობის ნებაყოფლობითი გამოხატვა უნდა განხორციელდეს იძულების გარეშე, კერძოდ მონაცემთა სუბიექტი არ უნდა იყოს იძულებული, რომ გასცეს თანხმობა. ამასთან, პირს, რომელიც აცხადებს თანხმობას, უნდა ჰქონდეს ინფორმაცია თანხმობაზე უარის თქმის უფლების შესახებ. ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს გასაგები ფორმით. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვან პირებთან მიმართებით. თუ პირმა გასცა თანხმობა და შემდეგ აღარ ჰქონდა უფლება უარი ეთქვა მის თანხმობაზე ნეგატიური შედეგების გარეშე, თანხმობა ვერ იქნება ნებაყოფლობითი. თანხმობის ნებაყოფლობითობის დადგენისას

[7] ICO, The UK's independent authority set up to uphold information rights in the public interest, promoting openness by public bodies and data privacy for individuals, What is valid consent? <https://ico.org.uk/for-organisations/guide-to-data-protection/guide-to-the-general-data-protection-regulation-gdpr/consent/what-is-valid-consent/#what1>, [27.2.2024].

გასათვალისწინებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და მონაცემთა სუბიექტს შორის თანასწორი ურთიერთობის საკითხი.[8]

მაგალითი:

საჯარო სკოლამ მოსწავლეებს სთხოვა თანხმობა მათი ფოტოების ბეჭდურ სტუდენტურ ჟურნალში გამოქვეყნებისთვის. ამ შემთხვევაში, თანხმობა ნამდვილ არჩევანს წარმოადგენს, თუ ფოტოების გამოყენებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სტუდენტებს არ შეუწყდებათ საგანმანათლებლო ან სხვა სერვისებს და არ მიადგებათ რაიმე ზიანი.[9]

2.2. კონკრეტული

მონაცემთა სუბიექტის თანხმობა უნდა მიემართებოდეს კონკრეტული დამუშავების მიზანს, რომელიც ნათლად და მკაფიოდაა აღწერილი. „კონკრეტული" თანხმობის მოთხოვნა მიზნად ისახავს მომხმარებლის კონტროლისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. აღნიშნული მჭიდრო კავშირშია თანხმობის მიზანზე მონაცემთა სუბიექტისათვის მიწოდებული ინფორმაციის ხარისხთან.[10] შესაძლოა, მონაცემთა სუბიექტს ხელმეორედ ეთხოვოს თანხმობა, თუკი საჭირო გახდება დამუშავების ოპერაციების დამატება ან შეცვლა, რომლის განჭვრეტაც, გონივრულობის ფარგლებში, შეუძლებელი იქნებოდა თავდაპირველი თანხმობის გაცემისას. როდესაც დამუშავება რამდენიმე მიზანს ემსახურება, თანხმობა უნდა გაიცეს თითოეულთან დაკავშირებით.[11]

რეკომენდაცია

არასრულწლოვან პირებთან მიმართებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული მიზნები აღწერილი უნდა იყოს დეტალურად და მათ ასაკზე მორგებული ფორმით.

---

[8] Swedish Authority for Privacy Protection, The rights of children and young people on digital platforms, Stakeholder guide, 22, <https://www.imy.se/globalassets/dokument/rapporter/the-rights-of-children-and-young-people-on-digital-platforms_accessible.pdf>, [27.02.2024].

[9] European Data Protection Board ("EDPB"), Guidelines 05/2020 on consent under Regulation 2016/679, 4 May 2020, 9, <https://edpb.europa.eu/sites/default/files/files/file1/edpb_guidelines_202005_consent_en.pdf> [27.02.2024].

[10] Article 29 Working Party Guidelines on consent under Regulation 2016/679 Adopted on 28 November 2017 As last Revised and Adopted on 10 April 2018, p. 11.

[11] მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია, პრეამბულა, მუხლი 32.

2.3. ინფორმირებული

„მონაცემთა სუბიექტისთვის ცნობილი უნდა იყოს, სულ მცირე, დამმუშავებლის ვინაობა და დამუშავების მიზანი.“[12] თანხმობა უნდა ეფუძნებოდეს იმ ფაქტებისა და შედეგების გაცნობა-გააზრებას, რომლებსაც გამოიწვევს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე. მონაცემთა სუბიექტს მკაფიო და გასაგები ფორმით უნდა მიეწოდოს ზუსტი და სრული ინფორმაცია ყველა საჭირო საკითხთან დაკავშირებით.[13] ინფორმირებული თანხმობის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თანხმობა იქნება არალეგიტიმური და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი დაარღვევს “GDPR”-ის მე-6 მუხლს.[14] არასრულწლოვანი პირის ინფორმირებისას მიზანშეწონილია, მხედველობაში იქნას მიღებული ბავშვის განვითარების დონე.

2.4. მკაფიო

მკაფიოობის კრიტერიუმი ასახულია “GDPR”-ის პრეამბულის 32-ე პუნქტში, რომლის შესაბამისადაც მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა უნდა გაიცეს ნათლად გამოხატული მოქმედებით. ამასთან, აღნიშნული ელემენტი მნიშვნელოვანია, რამდენადაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს უნდა შეეძლოს მონაცემთა სუბიექტის მიერ დამუშავების ოპერაციაზე გაცემული თანხმობის დემონსტრირება.

ყველა თანხმობა უნდა იყოს მკაფიო. კერძოდ, გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რამდენად სურდა მონაცემთა სუბიექტს, გამოეხატა თანხმობა საკუთარი მონაცემების დამუშავებაზე. მაგალითად, მონაცემთა სუბიექტის მხრიდან უმოქმედობა არ აღნიშნავს მკაფიო თანხმობას.[15]

რეკომენდაციები ბავშვების მხრიდან თანხმობის მოსაპოვებლად:

- ✓ თანხმობა უნდა იყოს მკაფიო და სხვა საკითხებისგან გარჩევადი, გასაგები და მარტივად ხელმისაწვდომი;
- ✓ გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვების ასაკი და მათი განვითარების დონე;

[12] მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია, პრეამბულა, მუხლი 42.

[13] 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი (2007), სამუშაო დოკუმენტი ჯანდაცვის ელექტრონულ ჩანაწერებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, WP 131, ბრიუსელი, 2007 წლის 15 თებერვალი.

[14] European Data Protection Board (“EDPB”), Guidelines 05/2020 on consent under Regulation 2016/679, 4 May 2020, 15, <https://edpb.europa.eu/sites/default/files/files/file1/edpb_guidelines_202005_consent_en.pdf> [27.02.2024].

[15] მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია, მუხლი 4 (11).

- ✓ დაუშვებელია კონფიდენციალურობის ვრცელი პოლიტიკის გამოყენება, რომლის გაგებაც რთულია ან რომელიც სამართლებრივი ჟარგონებით არის დატვირთული;
- ✓ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, უზრუნველყოს თანხმობის გაცემა იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მონაცემთა სუბიექტს საშუალებას აძლევს, ადვილად მოახდინოს იდენტიფიცირება, თუ ვინ არის დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და გაიაზროს, თუ რას ეთანხმება იგი;
- ✓ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მკაფიოდ აღწეროს მონაცემთა შეგროვების მიზანი, რისთვისაც ითხოვს თანხმობას.[16]

3. არასრულწლოვანი პირის თანხმობის არსებობის დადასტურება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს უწესებს ვალდებულებას, „მიიღოს გონივრული და ადეკვატური ზომა 16 წლამდე არასრულწლოვანის მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არსებობის დასადასტურებლად.“ ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „არასრულწლოვანის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

3.1. არასრულწლოვნის ასაკის დადასტურება

“GDPR”-ის თანახმად, როდესაც არასრულწლოვნებისთვის ხდება საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების მიწოდება თანხმობის საფუძველზე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ იგი განახორციელებს გონივრულ ძალისხმევას, რათა დარწმუნდეს, რომ მომხმარებელი ციფრული ტექნოლოგიების სფეროში თანხმობის მინიმალურ ასაკს მიღწეული პირია, ხოლო აღნიშნული ზომები უნდა იყოს დამუშავების აქტივობების ხასიათისა და მასთან დაკავშირებული რისკების პროპორციული.[17]

თუ არასრულწლოვანი პირი აცხადებს, რომ მან მიაღწია ციფრული ტექნოლოგიების სფეროში მინიმალურ ასაკს, მაშინ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი

[16] European Data Protection Board (“EDPB”), Guidelines 05/2020 on consent under Regulation 2016/679, 4 May 2020, 16, <https://edpb.europa.eu/sites/default/files/files/file1/edpb_guidelines_202005_consent_en.pdf> [27.02.2024].

[17] European Data Protection Board (“EDPB”), Guidelines 05/2020 on consent under Regulation 2016/679, 4 May 2020, 27, <https://edpb.europa.eu/sites/default/files/files/file1/edpb_guidelines_202005_consent_en.pdf> [27.02.2024].

უფლებამოსილია, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა დარწმუნდეს ამ განცხადების სისწორეში.[18] იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი განაცხადებს, რომ იგი ციფრული ტექნოლოგიების სფეროში თანხმობის მინიმალურ ასაკს მიუღწეველი პირია, მაშინ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ეს განცხადება შეუძლია მიიღოს დამატებითი შემოწმების გარეშე. ამავდროულად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა შესაბამისი ნებართვა უნდა მოიპოვოს მშობლისგან და უნდა დარწმუნდეს, რომ პირი, რომელიც იძლევა ნებართვას, მშობლის უფლების მქონე პირია.[19]

არასრულწლოვანთა ასაკი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც უნდა განისაზღვროს თუ რამდენად შეუძლია ბავშვს, რომ განჭვრიტოს პერსონალური მონაცემების დამუშავების პოტენციური შედეგები და გაიაზროს რასთან დაკავშირებით აცხადებს თანხმობას.[20]

ბავშვის ასაკის დასადასტურებლად, მნიშვნელოვანია, დაინერგოს შესაბამისი მექანიზმები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპთან. მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი აპრიორი არ გულისხმობს იმას, რომ დაბრკოლებას შეუქმნის ასაკის დამადასტურებელი მექანიზმის არსებობას. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ ორგანიზაციამ უნდა შეაგროვოს მხოლოდ მინიმალური ინფორმაცია მიზნის მისაღწევად. როდესაც მომხმარებელთა ასაკის დასადასტურებლად მუშავდება პერსონალური მონაცემები, ინფორმაციის დამატებითი დამუშავება არ წარმოშობს მონაცემთა გადაჭარბებულ დამუშავებას.[21]

დამატებით, ასაკის დადასტურების კონტექსტში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მიზნის შეზღუდვისა და ვადის შეზღუდვის პრინციპები. აღნიშნული მოიაზრებს, რომ შეგროვებული პერსონალური მონაცემები დამუშავდება მხოლოდ ასაკის დადასტურების მიზნებისთვის და არ გამოიყენება ორგანიზაციის მიერ სხვა მიზნებისთვის. ასევე, შეგროვებული პერსონალური მონაცემები, რომლებიც წარმოადგენს საფუძველს ასაკის დასადასტურებლად, უნდა წაიშალოს მას შემდეგ, რაც შეგროვდება საკმარისი ინფორმაცია.[22]

---

[18] იქვე.

[19] იქვე.

[20] Swedish Authority for Privacy Protection, The rights of children and young people on digital platforms, Stakeholder guide, 20 -21, <https://www.imy.se/globalassets/dokument/rapporter/the-rights-of-children-and-young-people-on-digital-platforms_accessible.pdf>, [27.02.2024].

[21] Data Protection Commission (DPC), Fundamentals for Child-Oriented Approach to Data Processing, December 2021, 48, <https://www.dataprotection.ie/sites/default/files/uploads/2021-12/Fundamentals%20for%20a%20Child-Oriented%20Approach%20to%20Data%20Processing_FINAL_EN.pdf>, [27.02.2024].

[22] იქვე, 48.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა შეიმუშაონ პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება ასაკის დასადასტურებლად მნიშვნელოვან ინფორმაციათა ნუსხა.

მაგალითი ასაკის დადასტურების შესახებ:

ონლაინ თამაშების პლატფორმას სურს, რომ არასრულწლოვანმა მომხმარებლებმა პლატფორმის სერვისების მიღება შეძლონ მხოლოდ მშობლის ან მეურვის თანხმობის საფუძველზე. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მისდევს შემდეგ მოქმედებებს:

1: დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მომხმარებელს უსვამს კითხვას, არის თუ არა იგი 16 წელს მიღწეული პირი. თუ მომხმარებელი განაცხადებს, რომ მას აღნიშნული მინიმალური ასაკისთვის არ მიუღწევია.

2: დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი არასრულწლოვანს ატყობინებს, რომ არასრულწლოვნისთვის მომსახურების მიწოდებამდე საჭიროა დამუშავებაზე მშობლის ან მეურვის თანხმობა ან ნებართვა. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მომხმარებელს სთხოვს, წარმოადგინოს მშობლის ან მეურვის ელ-ფოსტის მისამართი.

3: პლატფორმა უკავშირდება მშობელს ან მეურვეს და მოიპოვებს მის თანხმობას დამუშავებაზე, ელ-ფოსტის საშუალებით. პლატფორმა დგამს გონივრულ ნაბიჯებს, რათა დაადასტუროს, რომ ზრდასრულს მართლაც აქვს მშობლის უფლება.

4: საჩივრების შემთხვევაში, პლატფორმა დამატებით ნაბიჯებს დგამს, რათა შეამოწმოს გამომწერის ასაკი.

წარმოდგენილი მაგალითის შესაბამისად, თუ პლატფორმა აღნიშნულ ნაბიჯებს გადადგამს და, ამავდროულად, აკმაყოფილებს თანხმობასთან დაკავშირებულ სხვა სტანდარტებს, იგი შეასრულებს "GDPR"-ის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.[23]

[23] European Data Protection Board ("EDPB"), Guidelines 05/2020 on consent under Regulation 2016/679, 4 May 2020, 27, <https://edpb.europa.eu/sites/default/files/files/file1/edpb_guidelines_202005_consent_en.pdf> [27.02.2024].

3.2. მშობლის თანხმობის დადასტურება

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მშობლის უფლების არსებობის შემოწმება არასრულწლოვნის სახელით თანხმობის გაცემისას დამოკიდებულია დამუშავების დამახასიათებელ რისკებზე და ხელმისაწვდომ ტექნოლოგიაზე. დაბალი რისკის შემცველ შემთხვევებში, შესაძლოა საკმარისი იყოს მშობლის უფლების ელფოსტის საშუალებით შემოწმება. მეორე მხრივ, მაღალი რისკის შემცველ შემთხვევებში, მიზანშეწონილია უფრო მეტი დამადასტურებელი მტკიცებულების მოთხოვნა, რათა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა შეძლოს ინფორმაციის შემოწმება და შენახვა, "GDPR"-ის 7(1) მუხლის შესაბამისად.[24]

ასაკის დადასტურების მსგავსად, მიზანშეწონილია, რომ დაინერგოს მშობლის თანხმობის დამადასტურებელი მექანიზმები. ორგანიზაციების მიერ შესაბამისი ზომების მიღება დამოკიდებულია არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავების ბუნებაზე.[25] დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა საჭიროა, რომ მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს და ბავშვს მიაწოდოს ინფორმაცია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს მორგებული როგორც ბავშვზე, ისე ზრდასრულ პირზე. ამ გზით, მშობელი მიიღებს აუცილებელ ინფორმაციას და, ასევე, დაეხმარება არასრულწლოვანისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებაში, სამომავლოდ მისი უფლებების განხორციელების კონტექსტში.[26]

რეკომენდაცია:

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა შეიმუშაოს მარტივი დოკუმენტი, რომელსაც გამოიყენებენ მშობლები და ბავშვები. ამასთან, აღნიშნული იქნება ერთგვარი საშუალება მშობლებისთვის, რომ მიაწოდონ ბავშვებს მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე სრულყოფილი ინფორმაცია.[27]

---

[24] იქვე, 28.

[25] Data Protection Commission (DPC), Fundamentals for Child-Oriented Approach to Data Processing, December 2021, 43.

[26] Information Commissioner's Office (ICO), Children and the GDPR, 36, <https://ico.org.uk/media/for-organisations/uk-gdpr-guidance-and-resources/childrens-information/children-and-the-uk-gdpr-1-0.pdf>, [27.02.2024].

[27] იქვე.

4. მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა პრაქტიკა არასრულწლოვნების ასაკის დადასტურებისა და თანხმობის კონტექსტში

გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო

გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ("ICO") შეისწავლა ინტერნეტ პლატფორმა "TikTok"-ის ფარგლებში ბავშვების მონაცემების დამუშავების კანონიერება, რომელიც ხორციელდებოდა მათი მშობლების თანხმობის გარეშე. გაერთიანებული სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტის — "UK GDPR"-ის თანახმად, დამმუშავებლებმა 13 წლამდე პირებისათვის გარკვეული მომსახურების შეთავაზებისას უნდა მოიპოვონ მშობლებისგან ან კანონიერი წარმომადგენლებისგან თანხმობა. საზედამხედველო ორგანოს შეფასებით, არსებობდა ბავშვების მონაცემების გამოყენების ალბათობა „მიდევნებისა" ("tracking") და „პროფაილინგის" მიზნებისთვის, რაც შესაძლოა, ბავშვებისთვის ზიანის მომტანი ყოფილიყო. თავის მხრივ, ბავშვები პლატფორმის დათვალიერების პროცესში შეიძლებოდა, გაცნობოდნენ არასასურველი შინაარსის ინფორმაციას. "TikTok" გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრებ მილიონზე მეტ ბავშვს, 13 წლამდე პირებს, ნებას რთავდა, რომ გამოეყენებინათ პლატფორმა. საზედამხედველო ორგანოს შეფასებით, პერსონალური მონაცემები, რომლებიც უკავშირდებოდა ბავშვებს, გამოიყენებოდა მშობლების თანხმობის გარეშე და "TikTok"-მა არ უზრუნველყო ასაკის დამადასტურებელი მექანიზმების დანერგვა. ასევე, არ იყო 13 წლამდე პირების პლატფორმიდან ამოშლის შესაძლებლობა. გარდა აღნიშნულისა, "TikTok"-მა ვერ წარუდგენდა მის მომხმარებლებს ამომწურავ ინფორმაციას, თუ როგორ გროვდებოდა და მუშავდებოდა მათი მონაცემები. პლატფორმა "TikTok" ვერ უზრუნველყოფდა პერსონალური მონაცემების კანონიერ, სამართლიან და გამჭვირვალე დამუშავებას, რის გამოც "TikTok"-ს დაეკისრა ჯარიმა.[28]

ჰოლანდიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო

აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ პლატფორმა "TikTok" ჰოლანდიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს[29] სამიზნეც აღმოჩნდა. საზედამხედველო ორგანო მიუთითებდა, რომ ჰოლანდიაში მცხოვრები 16 წლამდე ბავშვთა დიდი ჯგუფი იყენებს აღნიშნულ პლატფორმას. როდესაც მომხმარებელი ქმნის ანგარიშს, იგი ჰოლანდიურ ენაზე ეცნობა და თანხმდება კონფიდენციალურობის პოლიტიკას. საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ 2018 წლის 25 მაისიდან 2020 წლის 28 ივლისამდე პერიოდში, ჰოლანდიელ მომხმარებლებს, მათ შორის ბავშვებს,

[28] Information Commissioner's Office (ICO), GDPRhub, <https://gdprhub.eu/index.php?title=ICO_(UK)_-_TikTok_ICO>, [30.08.2023].

[29] Dutch Data Protection Authority (AP).

კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებოდათ მხოლოდ ინგლისურ ენაზე. აღნიშნულის გამო "TikTok"-მა დაარღვია "GDPR"-ის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის შესაბამისადაც მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა მიიღოს შესაბამისი ღონისძიებები, რათა მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია მოკლე, გამჭვირვალე, გასაგები და მარტივად ხელმისაწვდომი ფორმით, ნათელი და მარტივი ენით, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც აღნიშნული შეეხება არასრულწლოვნის ინფორმირებას. ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ჰოლანდიის საზედამხედველო ორგანომ დააჯარიმა პლატფორმა "TikTok".[30]

ესპანეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო

ესპანეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ, ასევე, შეისწავლა ბავშვების პერსონალური მონაცემების არაკანონიერი დამუშავების შემთხვევები. ერთ-ერთი საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, კონკრეტულმა ტანვარჯიშის კლუბმა, საკუთარი "Instagram"-ის გვერდზე გამოაქვეყნა ვარჯიშის დროს გადაღებული ორი ბავშვის ფოტოსურათი. არასრულწლოვნების დედამ არაერთხელ სთხოვა კლუბს, არ გაესაჯაროვებინა მისი შვილების ფოტოსურათები სოციალურ ქსელში. ასევე, განმარტა, რომ სავარჯიშო კლუბისთვის არ მიუცია თანხმობა მისი 10 და 12 წლის ქალიშვილებისთვის ფოტოსურათების გადაღებასა და ჩაწერაზე. აღნიშნულის გამო, დედამ შეიტანა საჩივარი ესპანეთის საზედამხედველო ორგანოში, რომლის შეფასებით, კლუბმა დაარღვია "GDPR"-ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რადგან "Insagram"-ზე გამოაქვეყნა მომჩივნის შვილების სურათები, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. კლუბმა ვერ დაასაბუთა, რომ ჰქონდა მომჩივნის არასრულწლოვანი შვილების მონაცემების დამუშავების უფლება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ესპანეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ტანვარჯიშის კლუბი დააჯარიმა 5000 ევროს ოდენობით.[31]

5. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს აკისრებს ვალდებულებას, რომ არასრულწლოვნის შესახებ მონაცემთა დამუშავების პროცესში გაითვალისწინოს და დაიცვას არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები. ამასთან, არასრულწლოვნის, მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მონაცემთა

[30] AP (The Netherlands) – TikTok, GDPRhub, <https://gdprhub.eu/index.php?title=AP_(The_Netherlands)_-_TikTok>, [30.08.2023].

[31] GDPR hub, AEPD (Spain) - PS/00209/2021, <https://gdprhub.eu/index.php?title=AEPD_(Spain)_-_PS/00209/2021>, [30.08.2023].

დამუშავებაზე არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მონაცემთა დამუშავება საფრთხეს უქმნის ან ზიანს აყენებს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს.[32]

ბავშვთა საუკეთესო ინტერესის დაცვის პრინციპი აღიარებული და განმტკიცებულია არაერთი სამართლებრივი აქტით, როგორც ეროვნულ,[33] ასევე საერთაშორისო დონეზე.[34]

ბავშვის უფლებების შესახებ საქართველოს კოდექსში, ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესახებ მოცემული დეფინიცია არ მოიცავს ამომწურავ განმარტებას და ტოვებს სუბიექტური შეფასების შესაძლებლობას, რადგან ბავშვთან დაკავშირებული საკითხები იმდენად მრავალფეროვანია, რომ მისი ამომწურავი განსაზღვრება შეუძლებელია. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დეფინიცია უნდა იყოს დინამიური და მოქნილი, იმისათვის, რომ ადეკვატურად უპასუხოს ბავშვთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო კონკრეტულ შემთხვევას.[35]

საერთაშორისო დონეზე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვას უზრუნველყოფს „ბავშვის უფლებების შესახებ“ 1989 წლის კონვენცია (“CRC”), რომლის მიხედვითაც ბავშვებთან დაკავშირებით ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას საჯარო ან კერძო სოციალური კეთილდღეობის დაწესებულებების, სასამართლოების, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოების მიერ, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.[36]

ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს კონკრეტული გარემოებები, რაც განსაკუთრებულს ხდის მას, ხოლო საუკეთესო ინტერესების შეფასებისას, შემდეგი ელემენტები უნდა იქნას მხედველობაში მიღებული: ბავშვის მოსაზრება; ბავშვის იდენტურობა; ოჯახური გარემოს უზრუნველყოფა და ურთიერთობის შენარჩუნება; ბავშვზე ზრუნვა, მისი დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; მოწყვლადობის გათვალისწინება; ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლება; ბავშვის განათლების მიღების უფლება.[37]

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის ცნება გულისხმობს მის მიერ კონვენციით განსაზღვრული ყველა უფლებით სრულ და ეფექტიან სარგებლობას, არასრულწლოვნის სრულფასოვანი განვითარების უზრუნველყოფასა და მისი

---

[32] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

[33] ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს კანონი, 27/09/2019.

[34] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, 1948.

[35] სოფო კილაძე, პაატა ტურავა, ბავშვის უფლებათა კოდექსის კომენტარები, 2021, გვ. 44.

[36] UN, Convention on the Rights of the Child, Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 44/25 of 20 November 1989, Article 3.

[37] Data Protection Commission of Ireland, Children Front and Centre, Fundamentals for Child-Oriented Approach to Data Processing, December 2020, 19.

ღირსების დაცვას. სრულყოფილი განვითარება განმარტებულია, როგორც ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური, ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარება.[38]

ბავშვის საუკეთესო ინტერესისთვის უპირატესობის მინიჭების ვალდებულება სამგანზომილებიანია და მოიცავს მატერიალურ უფლებას, ძირითად საკანონმდებლო პრინციპსა და პროცედურულ ნორმას. აღნიშნული გულისხმობს: არასრულწლოვნის უფლებას, მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და იქნეს მიჩნეული უპირატესად, როდესაც ხდება სხვადასხვა ინტერესის განხილვა კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. არასრულწლოვანთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა მოიცავდეს ამ გადაწყვეტილების შესაბამის ბავშვზე ან ბავშვებზე შესაძლო ზეგავლენის (დადებითი თუ უარყოფითი) შეფასებას.[39] ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს.[40]

ბავშვის საუკეთესო ინტერესის ცნება შესწავლილი იქნა „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”)[41] წინამორბედი 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის მიერ 2009 წლის მოსაზრებაში,[42] რომელშიც აღინიშნა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები დაცული უნდა იყოს ყველა იმ პირის მიერ, ვინც ბავშვებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებს. აღნიშნული ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ადამიანს, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია ფიზიკური და ფსიქოლოგიური სიმწიფისთვის, სჭირდება მეტი დაცვა, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით.

---

[38] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის, №14 ზოგადი კომენტარი (2013), ბავშვის საუკეთესო ინტერესის უპირატესობის მინიჭების შესახებ, §§4-5.

[39] Digital Futures Commission, Child Rights Impact Assessment, a Tool to Realize Children's Rights in the Digital Environment, 2021, 8-9.

[40] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მე-14 ზოგადი კომენტარი (2013), ბავშვის საუკეთესო ინტერესის უპირატესობის მინიჭების შესახებ, § 6.

[41] The European Data Protection Board (EDPB) is established under Article 68 of the GDPR as an independent EU body which contributes to the consistent application of data protection rules throughout the EU, and promotes cooperation between the EU's data protection authorities. The EDPB is composed of representatives of the national data protection authorities, and the European Data Protection Supervisor (EDPS).

[42] Opinion 2/2009 on the Protection of Children's Personal Data (General Guidelines and the Special Case of Schools).

რეკომენდაცია:

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად საჭიროა:

- ✓ ბავშვები დაცულები იყვნენ ექსპლუატაციის რისკებისგან, მათ შორის კომერციული ან სექსუალური ექსპლუატაციისა ან ძალადობისგან;
- ✓ დაცული და მხარდაჭერილი იყოს ბავშვების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;
- ✓ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ემოციური განვითარების დაცვა და მხარდაჭერა;
- ✓ მათი მოსაზრებისა და იდენტობის დაცვა და მხარდაჭერა;
- ✓ თამაშის უფლებისა და გაერთიანების თავისუფლების მხარდაჭერა;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საჭიროებების მხარდაჭერა;
- ✓ მშობლების როლის აღიარება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და ხელშეწყობაში, ასევე, მშობლების მხარდაჭერა ამ ამოცანის შესრულებაში;
- ✓ ბავშვების განვითარებადი უნარების აღიარება და მათი მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინება.[43]

[43] ICO, The UK's independent authority set up to uphold information rights in the public interest, Age appropriate design: a code of practice for online services, 24-25.

ნატო ვაჩნაძის ქუჩა N° 7, თბილისი

ბაქოს ქუჩა N° 48, ბათუმი

(+995 32) 242 1000

office@pdps.ge